

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის**

ბრძანება №1-1/581

2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი“.

მუხლი 2

ბუნებრივი გაზის სექტორის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიანტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი გაზის ბალანსით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის იმპორტის საერთო მოცულობის ფარგლებში, მომწოდებელი ქვეყნის მიხედვით წყაროების ჩანაცვლების შესახებ.

მუხლი 3

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2017 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის №90 ბრძანება .

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს 2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი (10.08.2018 N 1-1/408)

გაზის მოწოდების პროგნოზი (მლნ მ ³)	ჯამი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
აზერბაიჯანიდან	2422,462	327,669	293,326	241,449	139,977	119,684	93,242	82,926	106,369	130,035	174,355	308,785	404,645
ზაპ-დენიზი (დამატებითი+ოფციური)	801,516	92,300	80,001	81,474	46,554	49,096	66,448	47,057	68,369	78,343	44,938	56,503	90,433
სულ სოკარი	1620,946	235,369	213,325	159,975	93,423	70,588	26,794	35,869	38	51,692	129,417	252,282	314,212
სულ რუსული (დანაკარგის გარეშე)	0,000	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ადგილობრივი მოპოვება	9,225	0,826	0,724	0,789	0,764	0,751	0,751	0,685	0,685	0,685	0,855	0,855	0,855

